ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტო

G E O R G I A
Ajara Autonomous Republic
Legal entity of public law
Forestry Agency of Ajara

ხულოს სატყეო ადმინისტრაცია
Forestry administration of Khulo

დაბა ხულო, მემედ აბაშიძის ქ №1
N1 M. Abashidze str., Borough Khulo,

N 14/82
29.05.2024

82-14-2-202405291103

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსს
ბატონ ჯუმბერ აბულაძეს

ბატონო ჯუმბერ,

თქვენს მიერ გადმოგზავნილ 2024 წლის 21 მაისის N09/844 კორესპონდენციაზე, რომელიც ეხება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ხულოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2021 წლის 24 აგვისტოს დადგენილება (საქმე) 211510021004756585 (4-31/21): კახა აბულაძის მიმართ ხე-ტყის კონფისკაციის ნაწილში შესასრულებლად და აჭარის სატყეო სააგენტოსათვის ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ (დასურათებული) ინფორმაციის მოწოდებას შემდგომი განკარგვის მიზნით გაცნობებთ, რომ მოქალაქე კახა აბულაძეზე ჩამორთმეული I ხარისხის წიფლის ჯიშის (სამასალე) ხე-ტყე საერთო მოცულობით არის 6.43 კბმ, 7 ცალი მორის სიგრძე არის 4 მეტრი, რომელთა წვ. თავ. დიამეტრებია 1) წფ 68 სმ, 2) წფ 40 სმ, 3) წფ 44 სმ, 4) წფ 64 სმ, 5) წფ 48 სმ, 6) წფ 46 სმ, 7) წფ 32 სმ, მიღება-ჩაბარების აქტით დროებითი შენახვის მიზნით ჩაბარებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ.ზემო ვაშლოვანში მცხოვრებ მოქალაქე კახა აბულაძეზე.

ხე-ტყე მოჭრილია ღორჯომის სატყეოს N2 სამცველოს კვარტალ N42-ში და განთავსებულია დაბა ხულოში, ტბელ აბუსერიძის ქN12-ში სამანქანე გზიდან 15 მეტრში ღია ცის ქვეშ, განიცდის კლიმატურ ზემოქმედებას, დაკარგული აქვს სამასალე (I ხარისხის) თვისებები და გადასულია საშეშე (II ხარისხის) მდგომარეობაში.

ასევე გაწვდით ხე-ტყის მდგომარეობის ამსახველ ფოტომასალას, მიღება-ჩაბარების აქტს და დათვალიერების აქტს.

დანართი: 2 გვერდი და 1 „ZIP“ ფაილი.

პატივისცემით,

ნოდარი შანთაძე

დირექტორი
ხულოს სატყეო ადმინისტრაცია